| ბაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1893


ქართული თეატრი

კვირას, 31 ოქტომბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

მ. მ. საფაროვა-აბაშიძისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება:

I

## და-ძმა

ისტ. დრამა 5 მოქმ. ვალ. გუნიასი

II

პირველად ახალი პიესა

**რაც არ გერგება, არ შეგერგება**

ვოდ. 1 მოქმ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა და სხვ. ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, გუნია, სვიმონიძე, აწყურელი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ

### ტფილისი, 30 ოქტომბერი.

მოისპო თუ არა რუსეთში ბატონ-ყმობა, მთავრობა დიდად სცდილობდა განთავისუფლებული გლეხი მესაკუთრედ გაეხადა. მთავრობა ჰფიქრობდა და დღესაც ამ აზრს ადგია, რომ მხვნელ-მთესველი უფრო დიდის ხალისით, მეცადინეობით და გულმოდგინეობით შეიმუშავებს საკუთარ მამულს, ვიდრე სხვისას სადალილოდ, ან იჯარით აღებულ მიწას. ამ აზრის განსახორციელებლად მთავრობამ ივალა ფული საზღვარგარედ და შემწეობას აძლევდა გლეხებს, შეისყიდეთ ბატონისაგან მიზომილი მიწები და მე-კი ვალი წვრილ-წვრილად გადამიხადეთ ორმოც-და-ცხრა წლის განმავლობაში თავნიც და სარგებელიცაო. წელიწადში მთავრობა ყოველ ათ თუმანში ექვს მანეთ სარგებელს იღებდა. ამ ექვსის მანათით ხარჯსაც გამოდიოდა და სხვაგან ნავალები ფულის თავნსა და სარგებელსაც ისტუმრებდა.

მაგრამ ნებაყოფლობაზე მივარდნილი საქმე ნადელების დახსნისა სასურველის სისწრაფით ვერ მიდიოდა წინა და ამის გამო მთავრობამ 1881 წელს ძალით დაახსნევინა თავი ნაბატონარ გლეხობას. ამ სახით 1881 წლიდან რუსეთში სრულიად გათავდა დროებითი ვალდებულება გლეხისა და ბატონისა, გლეხი ღალას მებატონეებს აღარ აძლევდა, ჰქონდა საქმე მხოლოდ მთავრობასთან, რომელსაც სხვა ხარჯთან ერთად უხდიდა ვალად აღებულის ფულის სარგებელსა და თავნსა.

რუსის გლეხს, ისედაც გაჭირვებულს ათასის ხარჯით, ნადელის დასახსნელი ფული მძიმე ტვირთად გარდაექცა. ისეთი ბედნიერი წელიწადი არ დასდგომია, რომ პირნათლად გამოსულიყო ხაზინის წინაშე და „უნედოიმკოდ“ გადარჩენილიყო. წლითი-წლობით შეუტანელი ხარჯი მატულობდა და მთავრობაც იძულებული იყო სასტიკი ღონე ეხმარა რომ შეეკრიფა ნადელის ფული, რადგან თვით მთავრობას უნდა მიეცა სხვისთვის თავნი და სარგებელი. მთავრობის განკარგულებამ ძირეულად შეარყია ეკონომიური ყოფა მესაკუთრე გლეხისა, რომელიც მისივე ფიქრით სახელმწიფოს ბურჯად უნდა გადაჰქცეოდა.

აქედგან იწყება მთავრობის ზრუნვა, როგორმე გაუადვილოთ მესაკუთრე გლეხს ტვირთის ზიდვაო. ღონისძიება ბევრი იქმნა მიღებული. სხვათა შორის მთავრობამ მოახდინა ექვს პროცენტიან ვალის კონვერსია და ამ კონვერსიის შემწეობით ყოველ ათ თუმანზე ექვსის მანეთის მაგიერ ხუთ მანეთს ახდევინებდა მესესხებელი გლეხს. როდესაც ამანაც ვერა უშველა-რა დაძაბუნებულ გლეხს, სხვა-და-სხვა შეღავათი მისცა. რამდენჯერმე სახელმწიფომ საერთო შემოსავლიდან მილიონობით გადიხადა გლეხთა მაგიერ ნადელების დასახსნელად აღებული ვალის სარგებელი. მარტო 1881 წელს სახელმწიფომ გადასდო თორმეტი მილიონი ამ საგნისთვის.

წელსაც გადადებულია მოსაკუთრე გლეხთა დასახმარებლად 20 მილიონი მანათი: როგორცა სჩანს ფინანსთა მინისტრის ვიტტეს უქვეშევრდომილეს მოხსენებიდან.

ყოველ შემთხვევაში ეკონომიურად დაქვეითებულს გლეხის ოჯახს ვერც ასეთი უხვი შეღავათი შველის და ნედოიმკა მაინც იზრდება და იზრდება.

უკეთეს მდგომარეობაში არც ჩვენი მივიწყებული გლეხია. ამას წინად უკვე იყო მოხსენებული, რა დიდათ დავალიანდა ტფილისის გუბერნია. ფულის ნადელის ხარჯი შეუტანელი უდრის 400 პროცენტს, ესე იგი ოთხის წლის შესატანი, ერთად შეგეცილი, არ არის ჩაბარებული ხაზინაში.

ნადელების შესყიდვა დაიწყო ჩვენში 1868 წლიდგან. ქუთაისის გუბერნიამ არ მიმართა მთავრობას, იქაური ნაბატონარი გლეხი თავის ხარჯით ამჯობინებდა ნადელის დახსნას. ტფილისის გუბერნია-კი, განსაკუთრებით კახეთი, სადაც გლეხკაცობა ღალღია კაი ღვინის მოსავლის გამო და ჰფიქრობს, რომ ერთის წლის მოსავლით მტერსაც და მოყვარესაც ადვილად გასცემს პასუხს, უხვად დაეწაფა მთავრობის მიერ გახსნილ ფულის ყუთს და შეუდგა ნადელების დახსნას. მაგრამ, როგორც რუსის გლეხმა ვერ აიტანა სიმძიმე ამ გადასახადისა *), ისე ჩვენმა. მესაკუთრე გლეხი დიდად დავალიანდა და დღეს აღარ იცის, თავს როგორ უშველოს.

მკითხველს ეხსომება, რომ ნაფარეული მოუძლურდა ეკონომიურად და შარშან საუფლისწულო გამგეობას ევედრებოდა, ოღონდ ვალიდგან განგვათავისუფლეთ და სულ მთლად ჩვენი სახნავი მამულები მიირთვითო, მხოლოდ სახლკარი და ვენახები დაგვიტოვეთო.

დღევანდელი თელავიდგან მოწერილი ამბავი კიდევ უფრო სამწუხაროა. რამდენიმე სოფელი მთავრობას ემუდარება, ოღონდ ვალს ნუ გადაგვახდევინებთ, და მამული სულ მთლად უკანვე მიირთვითო. ასეთ გაჭირვებამდის თვით რუსეთშიაც არ მისულა გლეხობა.

მართალია, თელავის მაზრის გლეხობის თხოვნა ჯერ ოფიციალურად არ არის შემოწმებული, მაგრამ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ თხოვნაში გადაჭარბებული არა იქმნება-რა, რადგან ხელთა გვაქვს საკმარისი ცნობანი, რომელიც მოწმობენ მათ გაჭირვებულ მდგომარეობას.

ზემოდ განზრახ ვსთქვით, რომ ჩვენი ქვეყანა მივიწყებულიაო. მართლაც, რამდენი შეღავათი ნახა რუსეთის ნაბატონარმა გლეხმა ნადელის ფულის შესატანად და ჩვენსას-კი სარგებელიც არ შემცირებია.

რადგან ჩვენს გაზეთში მრავლად მოყვანილი მაგალითები ამტკიცებენ, რომ ჩვენებური გლეხიც დიდად გაჭირვებულია, როგორც რუსეთში, ამისათვის, ჩვენის აზრით, დროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ საგანს, მოხსენდეს მთავრობას, რომ რაიმე შეღავათი მიეცეს გაჭირვებულთ სანადელო ფულის გადასახდელად.

ა. ფრონელი

*) წელიწადში თითქმის 21 მა.ნ

## ახალი ამბავი

*** გუშინ ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა მეხუთე განყოფილების პოლიციის ბოქაულს, ეხლავე შეაჩერე მუშაობა სახლების და მაღაზიების შენობაზე სიონის ქუჩაზეო, რადგანაც ძველ ქოხმახების პატრონებმა უკან არ დასწიეს თავიანთი შენობანი ქუჩის გასაგანიერებლად.

*** გუშინ ტფილისის პოლიცმეისტერს დეპეშა მოუვიდა, რომ მტკვარმა, სადაც ხრამი ერთვის, გამორიყა მოხუცებულ ებრაელის ორთაჭალაში ბრილიანტების მოვაჭრე მოკლულ მეერ რაშკევიჩის გვამი. გუშინვე ბ-ნმა ტფილისის პოლიციმეისტერმა გაგზავნა გვამის გასასინჯად პოლიციის ბოქაული სვიმონოვი და რაშკევიჩის შვილი.

*** გუშინ ტფილისის პოლიციმეისტერს დ. ს. ს. მასტიცკის ილეტის პოლიციამ დეპეშით აცნობა, რომ იქ შეუპყრიათ ტფილისიდგან გაქცეული გიორგი ცირიკიძე, რომელსაც ორთაჭალაში ლუდხანა ჰქონდა და რომელიც გარეულია მეერ რაშკევიჩის მოკვლის საქმეში. ცირიკიძე ტფილისის პოლიციამ ოქტომბრის 15-ს შეიპყრო, მაგრამ მეორე დღეს სატუსაღოდგან პოლიციას გაექცა და იმალებოდა სანამ პოლიციამ ილეტაში არ შეიპყრო.

## ფელეტონი

### ჯავახეთი

(ახალ-ქალაქის მაზრა)

მგზავრის შენიშვნები

(დასასრული *)

უმთავრესი მიზეზი ჩვენის გავლისა ბარალეთისკენ სკოლა იყო. ბარალეთის საზოგადოებამ ძრიელ თავი გამოიჩინა სკოლის საქმეში. ამ ორის წლის წინად დირექციამ გამოუცხადა ხსენებულ საზოგადოებას, ბარალეთის სკოლის გარდა ან კიდევ სამი ერთ-კლასიანი სკოლა გაჰმართეთ თქვენს საზოგადოებაშიო, ან არა და ბარალეთის ერთ კლასიანი სკოლა ორ-კლასიანად გადააკეთეთო. საზოგადოებამაც აიღ-დაიღო და შეადგინა განაჩენი, რომლითაც სამის ერთ-კლასიანის სკოლის გამართვას, ერთი ორ-კლასიანი სკოლა ამჯობინა და თანხმობა გამოუცხადა ყოველივე ხარჯისა. დირექციამ აქაურ ადმინისტრაციას მიჰმართა შესახებ ორ-კლასიან სკოლისთვის ახალის სახლის აშენებისა და ადმინისტრაციამაც გამოაცხადა იჯარით გავცემთ სკოლის შენობის აგებასაო. ექვსი ათას მანეთ ნაკლებ არავინ იღებდა ამ საქმეს და მუშას, მასალის მოზიდვასაც ტყიდან საზოგადოებას ავალებდნენ. ამის გამო შესდგა კომისია, რომელშიაც დირექციის მხრიდგან იყო თვით ბ-ნი მონასტირცევი, ვით თავმჯდომარე, და ბარალეთის სკოლის მასწავლებელი ბ-ნი სანაქოევი და მღვდელი ჯინჭველაძე—წევრებად: საზოგადოების მხრით იყვნენ გიორგი მურჯიკნელი (საზოგადოების მწერალი) და პეტრე ხაჩოევი. ადმინისტრაციის მხრით იყვნენ ბოქაული და მამასახლისი.

აი ამათ ჰქონდათ დავალებული ორ-კლასიან სკოლისთვის სახლის აშენება. ეხლა სოფ. ბარალეთში საუკეთესო ალაგას, მდინარეს ახლო თავმომწონედ ამართულია ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, რკინით დახურული, აივნებით შემკული და ზეთიან წამლით მშვენივრად შეღებილი. ამ სახლში სულ ხუთმეტი ოთახია ჰიგიენურად მოწყობილი. სახლს გარშემო დიდი ეზო აქვს და საჭირო წვრილმანი შენობებიც. ჭეშმარიტად, რომ დიდის მადლობის ღირსნი არიან ის მოღვაწენი, რომელნიც უფრო მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ამ სახლის აშენებაში. ესენი არიან: ბ ნნი სანაქოევი, მურჯიკნელი და ხაჩოევი, რომელთა შრომით საზოგადოებას ორას თუმნამდე ძირს დარჩა, რადგან სკოლის შენობა ოთხასი თუმანი ფულად დაჯდა, მასალასაც საზოგადოება თავის ურმებით ჰზიდავდა ბეგარის გაწერით. მადლობის ღირსია აგრეთვე ბ-ნი ვასილ ორბელიანი, რომელმაც შენობისთვის კირის ქვა ბურნაშეთისა უბაჟოდ დაუთმო ამ კეთილ საქმისთვის და სხვებს-კი ურემ კირის ქვაში ექვს აბაზს ახდევინებს. სხვა მემამულეებმა-კი ბარალეთს ახლოს უბრალო ქვის მოგროვებისთვის, სადაც ერთსა და იმავე დროს მამულიც ეწმინდებოდათ, პროტოკოლები შეადგენინეს ბოქაულსა.

ახალის სახლის აშენების გამო ეს მეორე წელიწადია სწავლა შეწყვეტილი იყო. ახლა-კი შენობა აკურთხეს დირექტორის თანადასწრებით და სწავლაც უკვე დაიწყო.

შენობაში სამი დიდი ოთახი კლასებად არის, ორი ოთახიც შორის სოფლებიდან მოსულ შეგირდების საცხოვრებლად არის დანიშნული და 30 შეგირდისთვის იქნება სადგომი ალაგი; ჭამა-სმა-კი მათი ჯერ არ იციან, როგორ მოეწყობა. თითო მასწავლებელს ექმნება ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. საზოგადოების განაჩენი იმ აზრით არის შედგენილი, რომ მესამე მასწავლებელიც უნდა მოემატოს. ამ ჟამად-კი ორი მასწავლებელია ბ-ნი სანაქოევი 400 მან. ჯამაგირით და 400 მანეთიც მეორე მასწავლებელს ბ-ნს გურგენოვს ეძლევა; ამასთან ორივ მასწავლებლებს სადგომი და შეშა საზოგადოების ხარჯითა აქვთ. რადგან ბარალეთი და კოტელია ერთმანეთზე ახლო არიან და 120 მეტი კომლი ქართველობაა, ამიტომ წინად ბარალეთის სკოლაში ქართველობა სჭარბობდა. პროგრამით თითქმის მეოთხე განყოფილებამდე უნდა ქართულიც ასწავლონ, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული ენა ვერ არის კარგად დაყენებული. ვინც ბარალეთის ორ-კლასიან სკოლას გაათავებს, იმას შეუძლიან ახალქალაქის სამოქალაქო სკოლის მესამე კლასში შევიდეს.

სკოლას ნახევარი დესეტინა მამული აქვს, ზედ წყლის პირზედ მიზომილი.

აი ამ გვარი სასახელო საქმე მოიქმედა ბარალეთის საზოგადოებამ, რომელიც სულ ათას კომლამდეა და ფოსტის ფულთან ერთად პირდაპირ ხაზინაში შეაქვს სკოლის ფულიც, კომლზედ თითქმის ორი მანეთი.

ვისურვებთ ამ კეთილ-საქმისათვის

*) იხ. „ივერია“, № 231.

⁂ კავკავის ახლოს ახვერდოვის მამულში ამ დღეებში ნავთის შადრევანი გამოჩნდა. ნავთი ამოდის 60 საჟენის სიღრმიდგან დღეში ათი ათას ფუთამდე.

⁂ ქუთაისსა და ტფილისს შუა ამ თთვის 25-დგან დღეში ორჯელ მიდის და მოდის ფოსტა. აქამდე-კი ფოსტას დღეში მარტო ერთხელ ჰგზავნიდნენ და ერთხელ მოდიოდა ქუთაისიდგანაც. სასურველია, რომ ფოსტა ტფილისსა, ბათუმს და ფოთს შუაც დღეში ორჯელ მიდი-მოდიოდეს.

⁂ კავკასიის მონადირეთა საზოგადოება სთხოვს მთავარ-მმართებელს, რომ ტფილისის გუბერნიაში აღკრძალულ იქმნას ნადირობა ხოხობზე, რადგანაც გასულს ზამთარს და გაზაფხულზე დიდძალი ხოხობი დაიხოცა ნიაღვრების გამო. საზოგადოება ხოხობზე ნადირობის აღკრძალვას ოთხის წლის ვადითა სთხოვს კავკასიის მთავარ-მართებელს, რათა ამ დროს განმავლობაში ხოხობი ისევ გამრავლდეს.

⁂ მთაწმინდაში არის მეხუთე მთის ქუჩა, ყველასაგან უპატრონოდ დატოვებული, გაუკეთებელი. ურემი ვერ ადის, ზამთარში მცხოვრებელთ დიდათ უჭირთ სიარული, ნამეტურ როცა გაჰყინავს, მაშინ გავლა აღარ შეიძლება; თუ სადმე მიცვალებულია, მისი გასვენებაც ძნელია. წყლის მიტანაც ძრიელ ჭირს აქეთ.

⁂ წელს ტფილისში დიდ-ძალი შენობებია დაწყობილი; 1880 წლის შემდეგ ამოდენა შენობებს ქალაქი არ მოსწრებია. საითაც გაიხედავთ, ყველგან დიდრონ სახლებს აშენებენ. შენობებს ტფილისის კალატოზები და მუშები ველარც-კი ასდიან; ამიტომ რუსის კალატოზებიც გაჩნდნენ; სპარსელი კალატოზებიც ძრიელ გამრავლდნენ, მაგრამ ამბობენ, რომ კალატოზი, დურგალი და მუშა მაინც ძვირად ფასობს, შოვნაც არ არისო. კალატოზს დღეში 2 მ. 50 კაპ. აძლევენ. იჯარადრები ჩივიან, რომ მუშის და ხელოსნის ასეთი სიძვირის გამო წელს ერთობ ვიზარალებთო.

⁂ დაიბეჭდა და გამოვიდა „მართა“ მოთხრობა ანტონ ფურცელაძისა. ამ მოთხრობის რამდენიმე თავი „მნათობში“ იყო დაბეჭდილი, რამდენიმე „დროებაში“, ახლა-კი მთლად დაბეჭდილა. 77 გვერდია და ღირს ორ აბაზად.

დაიბეჭდა ამავე ავტორის მეორე წიგნი: „ჩვენებური საქმის ბოლო“. ფასი 1 აბაზი.

⁂ იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა წიგ. „პლატონ იოსელიანი და მისი მოღვაწეობა“. ამ წიგნში ჩამოთვლილია სხვათა შორის ყველა ის ნაწერები და თხზულებანი, რომელიც უწერია და დაუბეჭდია განსვენებულს მწერალს.

⁂ ორშაბათს, 1 ნოემბერს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზედ დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა. კრებაზედ არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ. მორიგ საქმეთა განხილვის გარდა, კრება მოისმენს ბ-ნ მ. ა. რეხტზამერის მოხსენებას: „შექცევა სახადის მიერ და იმავე დროს ავად გახდომა ხოლერით ერთისა და იმავე ადამიანისა“- ბ-ნ სტრუვეს მოხსენებას: «ქიმიური გამოკვლევა მადნის წყლებისა ერევნის გუბერნიაში“.

⁂ თიანეთი: ამ დღეებში აქ გაიმართა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. უფროსად დანიშნულია ბ-ნი პაცევიჩი. ერთი კარგი საქმეც განიზრახეს აქ: აქაურს მღვდელს, ბლაღოჩინს მამა კ—ძეს უნდა ამ ზამთარს, როცა მკვიდრნი მომეტებულ ნაწილად უსაქმოდ არიან, უკითხოს ხალხს ამბავი წმინდათა ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.

⁂ თელავი: თავ, ვახვახიანთ, ქობულაანთ და სხვათა ნაყმევმა გლეხებმა მიართვეს ბ-ნ მთავარ-მართებელს და ტფილისის საგლეხო საკრებულოს არზა, ნადელის ფულის შეტანა აღარ შეგვიძლიან, გავწყალდით, საქონელი უსაჭმლობით გაგვიწყდა, ვენახები დაგვიხმა, რადგანაც სარს, სიძვირის გამო, ვეღარა ვშოულობთ და ამისათვის გთხოვთ, გაგვანთავისუფლეთ ნადელის შეტანისაგან და შესყიდული მამული ხაზინას მიაბარეთო.

⁂ იქიდგანვე: აქაური მოვახშეები დიდ ფაცა-ფუცში არიან. შიშობენ, ახალმა კანონმა მოვახშეთა წინააღმდეგ მათაც არ ჩაავლოს თვისი ბასრი კლანჭები, და აჩქარებენ ვალი გაანაღდონ და იაფ ფასად ხელში იგდებენ ვენახებს.

⁂ დ. აბაშა (სენაკის მაზრა): აქ საშინლად არის გახშირებული ყელ-ჭირვება, რომელმაც ბევრი ყმაწვილი იმსხვერპლა, და ყურის მგდებელი-კი არავინ არის.

⁂ ბაკურციხე (ქიზიყი): ცოტა არ იყოს მოვისვენეთ ამ ბოლოს დროს ათას გვარ ქურდობისა და ავკაცობისაგან. ამ ბოლო დრომდე ისე ხშირი იყო ქურდობა, რომ სოფელი ვერ ასდიოდა ზარალის ზღვევას. საქმეს აჭირებენ ახლა მხოლოდ მრავალ-გვარი ჩარჩები და სოფლის წურბელანი. პური და ქერი ამ შემოდგომაზედ საკმაოდ ბლომად დასთესეს, შარშანდელზე უფრო მეტი. პურის ფასი ამ ჟამად თან-და-თან მატულობს. ღვინოები კარგი დაგვიდგა, მაგრამ უმუშტრობაა დიდი. ფული უჭირს მემამულეს და ვერარეფი-კი ვერ გაუყიდნია, რომ აღებულის ფასით ვენახების შემუშავებას შეუდგეს. ამის გამო იძულებულია ისევ კერძო ვალს მიჰმართოს და ულმერთო სარგებელი იხადოს. ჩვენის მხრის შეწუხება კიდევ გზა-ტკეცილის უვარგისობაა. ბევრგან გზა ტფილისამდე გაფუჭებულია და დაღორღო-ჩოღროვებული. ვერც ივრის ხიდია კარგს ყოფაში და შეკეთება ეჭირვება.

⁂ ხუმელაგა (ბარის ოსეთი): 20 ოქტომბერს ღამე აქ დაეცნენ ავაზაკნი მეწისქვილე მალაკანს; მალაკანი გარედ გამოვარდა და მიმხდომთ თოფები დაუშინეს. იღბალზე მალაკანი თხრილში ჩაგორდა და ამ სახით გადარჩა თოფის ტყვიას. შიშმა დაწიოკებულმა ცოლ-შვილმა სოფელს მიაშურა, მაგრამ სანამ მდევარი გავიდოდა, ავაზაკებმა წაიღეს წისქვილიდამ ყოველივე, რაც-კი მოახელეს.

⁂ ბაგბაგი: ერთის ოსის ოჯახში პოლიციამ აღმოაჩინა ამ დღეებში მრავალი ნაქურდალი ძვირფასი ნივთი და განძეულობა: ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი, თოფები, შევერცხლილი ხანჯლები და სხვა. ოჯახის უფროსი დაპატიმრებულ იქმნა და გამოძიება საქმისა დაიწყო.

---

გაზეთ „Нов. Обоз.“-ში დაბეჭდილია:

ყველამ იცის, რომ ჩვენში აგრე რიგად არავინა სცდილობს ძველის ხელოვნების ნაშთების დაცვას, რომელთა რიცხვიც ჩვენს ქვეყანაში აუარებელია. როგორც მაგალითს ჩვენის უზრუნველობისას, დავასახელებთ ერთს შემთხვევას. სოფელ მეტეხში (გორის მაზრაში) არის ძველის-ძველი ტაძარი, აგებული V საუკუნეში ვახტანგ გორგასლანის-მიერ, სადაც ფრიად შესანიშნავი ბეთლემის ხატია ღვთისმშობლისა, ნაპოვნი იდუმალ ოთახის ქვის თაღში, საკურთხეველის ქვეშ. მეტეხის საზოგადოება შეუდგა კიდეც ამ დაძველებულ ტაძრის განახლებას, ხოლო ხელმოკლეობისა გამო ვერ აღასრულა თვისი წადილი. საქართველოს ექსარხოსად ნამყოფის პალადის ნებართვით, ამავ აზრით დაარსდა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც ბევრსა სთხოვა დახმარება, მაგრამ არავინ პასუხი არ გასცა და შესანიშნავ ძეგლის წარსულისას იგივე დღე მოელის, რაც საზოგადოდ ყველა ამისთანა ძეგლებს ჩვენში. მხოლოდ ერთმა აზნაურთაგანმა, თუხარელმა, შესწირა ფრიად კარგის მოყვანილობის ჭალი ბრონჯაოსი, რომელსაც უკვე ამზადებს კაჩანოვსკის ქარხანა ტფილისში. თუ ამით გათავდა ჩვენებურ ქველ-მოქმედთა გულშემატკივრობა, კომიტეტს ვერ მივულოცავთ საქმის წარმატებას.

---

## დამაკვირდი

—

მზე და ბედი მწერსაც-კი გააბრწყინებს.

გობერტენი

**

ზოგი კაცი იმიტომ არის კეთილი, რომ შემდეგ უშიშრად ბოროტად გადაიქცეს.

ლა როშფუკო

**

შურიანები კვდებიან—მაგრამ თითონ შური-კი რჩება.

---

## კავკასიის ქართული სკოლის კურთხევა.

22 ოქტომბერი ფრიად შესანიშნავი დღე იყო ყველა კავკაველ ქართველთათვის. ამ დღეს აკურთხეს საკუთარი შენობა კავკავის ქართულ სკოლისა, რომლის აგებას ზაფხულიდგანვე შეუდგა აქაური სკოლის კომიტეტი. თორმეტის ნახევარზე, წირვის შემდეგ მის ყოვლად უსამღვდელოება, კავკავის ეპისკოპოსი ვლადიმირი არდონის არხიმანდრიტის იოანნეს თანადასწრებით და სხვა სამღვდელოებით ერთად საკრებულო ტაძრიდგან ლიტანიით გაემგზავრა კავკავის ქართულ სკოლის შენობისაკენ. დროშებს უკან მიჰყვებოდნენ ქართულ სკოლის მოწაფენი და ქართულად გალობდნენ, როგორც გზაზე, ლიტანიის დროს, აგრეთვე პარაკლისის და მცირე აიაზმის გადახდის დროსაც. ქართულმა მწყობრმა გალობამ დამსწრე საზოგადოება მეტად ასიამოვნა. ყველასათვის დიდად სამხიარულო იყო, რომ იმოდენა შეკრებილებას, რომელიც სკოლის კურთხევას დაესწრო, მოესმა ტკბილი მშობლიური ხმა. შენობის კურთხევას დაესწრნენ ყველა წოდებისა და ეროვნობის წარმომადგენელნი. სკოლის ვრცელი დარბაზი მშვენიერად იყო მორთული ხვეულის ყვავილებითა და სურათებით, სავსე იყო საპატიო ხალხით. სავსე იყო აგრეთვე ვრცელი მოედანი ეკკლესიისა. აიაზმის სხურების შემდეგ ერთმა მოწაფემ მიართვა მის ყოვლად უსამღვდელოესობას ვლადიმერს ქართველთ განმანათლებელის მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს ხატი, რომელსაც ქვევით ვერცხლის ფიცარზე ჰქონდა შემდეგი წარწერა: „მის ყოვლად უსამღვდელოესობას კავკავის ეპისკოპოსს ვლადიმერს კავკავის ქართულ სკოლის მოწაფეთაგან; სახსოვრად სკოლის კურთხევისა 22 ოქტომბერს 1893 წ.“ მოწაფემ ხატის მირთმევის დროს უთხრა მღვდელ-მთავარს რუსულად გარკვევით შემდეგი სიტყვები: „თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ! დაგვლოცეთ და მიიღეთ ჩვე-

---

გამარჯვებასა და ღმერთსა ვსთხოვთ სკოლას მესამე მასწავლებელიც კარგი შეხვდეს. სწავლის მსურველნი, როგორც მასწავლებელთ მიამბეს, ეხლავე 200 ყმაწვილია და ადგილი-კი მხოლოდ 170 შეგირდისთვის არის. თუმცა ქალიც არის, ბ-ნ გურგენოვის დაჲ, რომელსაც ნება აქვს მასწავლებლობისა და შეუძლიან ხელსაქმეც ასწავლოს, მაგრამ სკოლის ყოველ წლიური ბიუჯეტი სულ 1500 მან. და ამ ხარჯს ვეღარ გაუძლვება. დირექტორს იმედი აქვს ყოველწლიური 500 მან. შემწეობა მოუპოვოს ამ სკოლას ხაზინიდგან და მაშინ შეიძლება პარალელური კლასებიც გაიმართოს და მასწავლებელი ქალიც იყოლიონ.

სოფ. ბარალეთიდგან გვინდოდა წასვლა სამსარის მაღაროების სანახავად, მაგრამ როგორც მასწავლებელმა სანაქოევმა აგვიხსნა, სამსარის მაღაროების აღწერას არც ორი დღე ეყოფაო. ბ-ნ სანაქოევს დაწვრილებით აქვს აღწერილი სამსარის მაღაროები და დაბეჭდილიცაა კრებულში „Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа“.

ბ-ნ სანაქოევის სიტყვით, სამსარის მთებთან ხეობა ჩამოდისო და ამ ხეობას მისდევს კლდიანი მთა, რომელშიაც მაღაროებია გამოკვეთილი და ორ ვერსამდე მისდევსო—ერთი ეკკლესია შიგ მაღაროებში უნახავს და ერთიც გარედგან არის, კედელზედ მიდგმულიო, ამ ეკკლესიას ძალიან ხელოვნობა ეტყობა და როგორც თლილის ქვის სვეტებით, ისე შენობის მხრით შესანიშნავ ნაშთს წარმოადგენსო. სანაქოევის სიტყვით, მაღაროებში ისეთი გზებია გაყვანილი, რომ იმათი დასასრული, კაცმა არ იცის, სად იკარგებაო, ერთ მაღაროშიაც შიგნიდგან წყარო ამოჩუხჩუხებსო.

ჩვენ იმდენად საინტერესოდ ვცანით სამსარის მაღაროები, რომ შემდეგისთვის გადავსდეთ დაწვრილებით აღსაწერად, როცა დრო ნებას მოგვცემს, რომ სამიოდ დღე შევწიროთ ამ ადგილის დათვალიერებას.

ბ-ნ სანაქოევისთვის უჩვენებიათ ერთი მოხუცი კაცი, რომელიც ფიცით გვაჯერებს, რომ ამ რამდენისამე წლის წინად სამსარის მაღაროებში რაღაც უცნაური წივილი ისმოდა ხოლმეო. ერთხელ გულმა ვეღარ მომითმინა, შევედი მაღაროებში და ტყის კაცი-კი ვიპოვეო. მთელი ტანი ბალნით ჰქონდა შემოსილი და ისეთ საშინლად წიოდა, რომ ყურები დაგვიჭედაო. რამდენიმე ბიჭი ვიშველიე და ხელებ შეკრული სოფლისკენ მოგვყავდაო, სოფელს რომ უახლოვდებოდით ერთი ისე საშინლად დაიწივლა და გაჰკრა თოკსაო, რომ ჩვენ იქვე დაყრუებულნი დავეცითო. ის იყო და ის მას აქეთ აღარც წივილი გაგვიგონია და აღარც ის ტყის კაცი გვინახავსო. მაგრამ რადგანაც ტყის კაცსაც, როგორც ყოველ ცხოველს, კუჭი ექმნებოდა, რომელიც კვებას თხოულობს და სამსარის კლდეებში და იმის გარშემო ხრიოკი ადგილების მეტი არაფერია, ამიტომ დასაჯერებელი არ არის ეს ამბავი.

ბარალეთიდგან სოფ. კოთელიაზე გამოვიარეთ. რითია შესანიშნავი თქვენი სოფელი, ვკითხე იქაურ მცხოვრებს, ერთს ჩვენს ნაცნობს და იმანაც მომიგო—ბატებითაო. მართლადაც და ამოდენა ბატს, როგორც კოთელიასა და ბარალეთშია, არც ერთი სოფელი არ ზდის. მარტო კოთელაში ათასამდე ფრთა ბატი იყიდება ყოველ წლივ. ამ მაზრაში განსაკუთრებული ხელობის პატრონებიც არიან ბერძნები—ჩავლადრები, რომელნიც სოფელ-სოფელ დადიან და დიდძალ კვერცხს და ყოველნაირ შინაურ ფრინველს ყიდულობენ და ცხენზედ საგანგებოდ გამართულ გოდრებით მიეზიდებიან ტფილისსა და საავარაკო ადგილებში. წინად ზაფხულ-შემოდგომობით შაურათ ათ-თორმეტ კვერცხს ვყიდულობდით. ვარიებს თითო შაურად, ქათმებს ორ შაურად და ინდოურ-ბატს ათ-ათ შაურად და წელს-კი ამ ბერძნების წყალობით ყველაფერს თითქმის ტფილისის ფასები დაედო.

სოფ. არაგვის ხეობას რომ გადავხედეთ, ეტლი გავაჩერეთ და ფეხით ჩავიარეთ პატარა დაღმართი, უფრო-კი იმიტომ, რომ არაგვის წყლის პირზედ იშვიათი ოაზისი დაგვიხვდა, სადაც ბოსტნები იყო გამართული და წისქვილის გარშემო ატეხილი წნორი და ნერგი თავის ჩრდილებით და მწვანე ხავერდით გულს იზიდავდა. ბოსტნებში ჩვენი ყმაწვილები სტაფილოს ეცნენ და ამით მებოსტნე დედაკაცებს წივილ-კივილი აატეხინეს, მაგრამ, როცა რამდენიმე შაურიანი ხელში ჩაითვალეს, პირ-მცინარედ დაგვიგლიჯეს სტაფილო. საკვირველია, აქაური სტაფილო! სწორედ ჭარხლის სისხო იცის! ამ მაზრის ხალხში უხილობის გამო საუკეთესო სანუკვრად სტაფილო ითვლება. მაგრამ არ ეგონოს მკითხველს, რომ ჩვენი მოტიტვლებული მაზრა მართლა და უხილოა. მართალია, მთელს ჯავახეთში სულ სამი-ოთხი სოფელია: ხერთვისი, სარო, ხიზაბავრა და წუნდა-ნაქალაქევი, სადაც ხილი იცის, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მარტო ხერთვისი იმოდენა ხილს იძლევა, რომ მთელი ეს მაზრა თავის ქალაქით ვერ ასდის და ამიტომ იძულებულნი არიან ჰგზავნონ სხვა ქალაქების მაზრებშიაც. მერე რა ჯიშის ვაშლსა და მსხალს ბრძანებთ,

ნვან სახსოვრად ხატი მოციქულთ-სწორის საქართველოს განმანათლებელ წმ. ნინოსი“. მღვდელმთავარმა ჩამოართვა ხატი და მიჰმართა მოწაფეებს გრძნობიერის სიტყვებით. დალოცა და უთხრა, სხვათა შორის: ეს ხატი მექნება ჩემ სამლოცველო ოთახში და ყოველ დანახვის დროს თქვენც მომაგონდებითო. მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ არ დასტოვა უყურადღებოდ მოწაფენი—ყველას სათითაოდ დაურიგა ჯვრები და წიგნაკები წმინდა ნინოს და წმინდა მოციქულთა სწორის ვლადიმირის ცხოვრების აღწერისა.

ვინც-კი მუშტრის თვალით დაათვალიერებდა სკოლის მოწყობილობასა და ავეჯს შეამჩნევდა, რომ სკოლა ჯერ ღარიბია ამ მხრით. დიდი შრომა, მხნეობა და თავდადება გამოიჩინა ამ დიდ საქებურსა და საშვილიშვილო საქმეში, სკოლის კომიტეტმა. იმან ააგო მშვენიერი შენობა სკოლისათვის, რომლის ბადალი, პირველ დასაწყისს სკოლის შენობათა შორის კავკავში არ მოიპოვება, მაგრამ სკოლა სასწავლო კუთვნილებით ძალიან ღარიბია. ამას ამტკიცებდა ის გარემოებაც, რომ შკაფის უქონლობის გამო წიგნები სკოლისა სტოლებზე ეწყო; მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ უცბად შენიშნა ეს ნაკლულევანება, მიჰმართა საზოგადოებას გრძნობიერის სიტყვით და სთხოვა დახმარება; თვითონაც მოიღო თავისი წვლილი და ამ ნაირად ყოვლად სამღვდელოს თაოსნობით შეგროვდა თხუთმეტ თუმნამდე.

შემდეგ ყველა პატივცემულნი დამსწრენი მიპატიჟებულ იყვნენ საუზმეზე, რომელიც სადილად გადაიქცა.

სადილზე ბევრი გრძნობით სავსე სიტყვა წარმოითქვა ქართველთ ერისა და მის წარსულ დიდების შესახებ.

სტუმრები დაიშალნენ ნაშუადღევის ექვს საათზე. მთელი დღე უკრავდა სამხედრო მუსიკა.

აქაური ქართველობა ფრიად ნასიამოვნები დარჩა მით, რომ ბ-ნი დ. ზ. სარაჯიშვილი განუყრელად მასთან იყო იმ დღეს და გულით სიამოვნებდა მხიარულს დღეს. ყოველთვის მხნე და ყოველ საზოგადო საქმისათვის გულ-შემატკივარი დ. ზ. სარაჯიშვილი, არა მარტო სიტყვიერის თანაგრძნობით ეკიდება სკოლას, არამედ ნივთიერ შემწეობითაც ხელს უწყობს. გარდა იმ შეწირულობისა, რომელიც ფულად თუ მასალით უძღვნა წელს კავკავის სკოლის ასაშენებლად, სამუდამოდ დაუნიშნა სკოლას ყოველ წლივ ას ასი მანათი და მით დიდი სიყვარული დაიმსახურა კავკავის მოზარდ ქართველთა.

კავკავის სკოლაში, როგორც ნამდვილ წყაროებიდგან ვიცით, ამ ჟამად 65 ღარიბ-ღატაკი ქართველთა ბავშვი სწავლობს. აი ამ მხრით მეტის-მეტმა სიღარიბემ იჩინა თავი კავკავის სკოლის შეგირდებში რომელთა მშობელნი არა თუ დროს შესაფერ ტანისამოსის შეკერვის შეძლეას არიან მოკლებულნი, არამედ ერთ ხელ ტანისამოსსაც ძლივს უკერავენ წელიწადში; ამიტომ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ერთმა კომიტეტის წევრმა ი. გ. შვილევმა აღნიშნულ სადღესასწაულო დღისთვის ჩინებულად დასუფთად გამოაწყო ყველა შეგირდები კავკავის სკოლისა თავის ხარჯით.

სკოლას საზოგადოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ყველაზედ უფრო დიდი მნიშვნელობა იმ სკოლებსა აქვს, რომელიც ჩვენს სამშობლოს განაპირას არის გამართული, სამშობლო ქვეყნის მოშორებით. ჩვენ ვხედავთ, რომ კავკავში ქართულის სკოლის დაარსების შემდეგ აქაური ქართველობა თანდათან იღვიძებს, მხნევდება და ცნობიერებით იმოსება. დიდი მადლობის ღირსია, ამის გამო სკოლის კომიტეტი და საზოგადოება.

ინიციალი

## უცხოეთი

**გერმანია.** მომავალ გაზაფხულზედ იმპერატორი ვილჰელმი, უმთავრეს შტაბის გენერალ ფონ-შლიფენისა და უფროს აფიცერთაგან შემდგარ კომისიის თანადასწრებით დაათვალიერებს მთელს ვენგრიას. აგრეთვე განზრახვა აქვთ დაათვალიერონ ტრანსილვანია, რომელსაც, მათის აზრით, თუ ვინიცობაა ომი ასტყდა, კიევის ჯარი დაეცემა, გარდა ამისა გერმანიაში არსდება სამხედრო კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, საკმარისია თუ არა საფრანგეთის საზღვარზედ ციხე-სიმაგრენი და, თუ საკმარისი არ არის, დაარსდეს ახალი კომიტეტი პრინცის ალბერტ-პრუსიელის თავმჯდომარეობით და მას დაევალოს ზემოხსენებულ საზღვარის გამაგრებაო.

## თეატრის მატიანე

ამას წინად მოსკოვის თეატრში წარმოადგინეს ახალი დრამა ბ-ნ გოსლავსკისა „ვალის გადახდა“. დრამა შეეხება თავად-აზნაურობის ცხოვრებას, რომელსაც ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ თან-და-თან გამოელია სალსარი ცხოვრებისა და რომელიც ჩვეულია მხოლოდ ფულის ფლანგვას და არა შოვნას. ამ თავად-აზნაურობის ერთად ერთი სურვილი და გულის წადილი—სიამოვნებაა; ჰხარჯავენ უკანასკნელს გროშს და თავის შვილებსაც-კი ვერა ზდიან კარგად, ვერ ამზადებენ იმ ბრძოლისთვის, რომელიც მათ ცხოვრებაში მოელით. და აი ეს სრულებით მოუმზადებელი ახალგაზდა შთამომავალნი თავად-აზნაურთა იძულებულნი არიან დაიტანჯონ, პასუხი აგონ და თითქოს ვალი გადიხადონ თავის მშობელთა უზრუნველ და უდარდელ ცხოვრებისთვის. უმთავრესი მომქმედნი პირნი ამ პიესისა არიან წევრნი აგნესა ნაუმის ასულის ზაკალოვის ოჯახისა. ამ ქ-ნ ზაკალოვის ერთად ერთი საგანი ცხოვრებისა დროს გატარება, სიამოვნება და ფუფუნებაა; ერთის სიტყვით მას ჰგონია, რომ მთელი ქვეყანა მისთვის არის გაჩენილი. ეს ქ-ნი სიამოვნებით იცინის, როცა მისი კარგი ნაცნობი გენერალი კოშაისკი, 60 წლის კაცი, უამბობს, როგორ ანიავებს თითო თითოდ თავის მამულებსა ტულისა და ხარკოვის გუბერნიაში. ქ-ნ ზაკალოვის წყალობით მთელი მისი ოჯახი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდება. ზაკალოვის ოჯახს შეადგენენ: ვაჟიშვილი ივანე სერგეის ძე, 30 წლის ზნე-დაცემული, გარყვნილი კაცი, უნცროსი ლამაზი ქალი ზოია სერგეის ასული (ესეც უდარდელი და უზრუნველი) და უფროსი დარბაისელი, 30 წლის ქალი იულია, რომელიც ოჯახის კეთილ-დღეობისთვის ზრუნავს. ვაჟიშვილი ივანე არაფრისთვის თავს არ იწუხებს და არა ზრუნავს; მის დროშას აწერია: „ან ჰო, ან არა“. მისის აზრით, პატიოსანი კაცი ან რაც შეიძლება მალე უნდა გამდიდრდეს და გაბატონდეს, ან არა და ერთბაშად დაიღუპოს. ამ განზრახვით ივანე ზაკალოვი თავს ევლება და ეტრფიალება მდიდარ ურიის რეიმანის ქალსა. ზოია სერგეის ასულიც თავის ძმას არ ჩამორჩება და სცდილობს ალერსთა ბადეში გააბას მეზობელი ახალგაზდა კაცი ვლადიმირ ომშარინი. ომშარინი შვილია გაღატაკებულ მემამულესი, რომლის სიმდიდრეც ხელში ჩაიგდო ურიამ რეიმონმა. ომშარინი სულ იმასა ჰფიქრობს, როგორ გავმდიდრდეო. გარემოებაც ხელს უწყობს. ომშარინი შეუყვარდება რეიმონის გასათხოვარ ქალს ბერტას, მაგრამ თვით ომშარინს ბერტა არ მოსწონს, ჩემი წრის ქალი არ არისო—და უარს ამბობს მის სიყვარულზედ. საბრალო ქალი შერცხვენილი და დაღონებული მოშორდება ომშარინს და ამ დროს იმ ოთახში, სადაც ლაპარაკი მოუვიდათ, დაავიწყდება ფულის ქისა 107 ათასი მანათით. ომშარინი ამ ფულს ჩაჯიბავს და სინიდისს იმით აჩუმებს, ეს ფული ჩემი საკუთრებაა, რადგანაც რეიმანმა მამა ჩემს დიდი მამული ხელიდგან გამოაცალაო. შემდეგ შეხვდებიან ერმანეროთს რეიმანი და ომშარინი. რეიმანი მოპარულ ფულს სთხოვს, ომშარინი არ აძლევს. მოწმეც არავინ არის ქურდობისა და ერთბაშად გამდიდრებული და აღტაცებული ომშირინი დანიშნავს ზოია ზაკალოვისას. მაგრამ რეიმანი ახერხებს ომშარინის ქურდობის დამტკიცებას და მასაც მეტი არაფერი დარჩენია, ფული უკან უნდა დაიბრუნოს. რეიმანი ამასაც არა სჯერდება და სთხოვს, შენი მამულიც მე დამითმე, თორემ გიჩივლებო. ომშარინს ამ გვარად აღარაფერი დარჩება. ცხლა მოვა გონს და აღთქმასა სდებს, ამიერიდგან ჩემის შრომით და პატიოსნად უნდა ვიცხოვროვო და ყველაფერში გამოუტყდება თავის საცოლეს ზოიას. ზოია ადვილად აპატიებდა საქმროს სხვის ფულის მოპარვასა, მაგრამ სიღარიბე და თავის ოფლით ცხოვრება არაფრად ეჭაშნიკება და ომშარინს უარს ეუბნება ცოლობაზედ. უკანასკნელს იმედს მოკლებული და შერცხვენილი ომშარინი თავს იკლავს. ზოიას, ქ-ნ ზ კალოვის სასიხარულოდ, ირთავს ბებერი გენერალი კოშაისკი და უფროსი და იულია მისთხოვდება ერთს ახალგაზდა ექიმს, რომელიც დიდი ხანია უყვარს.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

უნოსვა ქალისა. იმის გამოსაკვლევად, თუ ვის უფრო კარგი უნოსვა აქვს—ქალს თუ კაცსა, ამერიკის პროფესორებმა ნიკოლსონმა და ბაილეიმ მიიწვიეს 44 კაცი და 38 ქალი. ახალგაზდანი, ჯან საღნი, ღონიერნი, სხვა-და-სხვა წოდებისა და ხელობისა. არ მიიღეს მხოლოდ ისეთები, რომელთაც უნოსვა სუსტი ჰქონდათ, ანუ შეჩვეულნი იყვნენ ერთს რისამე სუნსა და სხვას-კი ვერა ჰგრძნობდნენ რიგიანად.

აღმოჩნდა, რომ მამაკაცს ორჯერ უფრო განვითარებული ჰქონია უნოსვა, ვიდრე ქალს. კაცებმა იგრძნეს ლიმონის სუნი, როცა ერთი წილი ამ წვენისა გახსნილი იყო 250,000 წილს წყალში (1:250,000): ქალებმა-კი ამის ნახევარიც ვერ გამოიცნეს (1:100,100). ესევე სცადეს ნიორითა და სხვა სურნელოვან ნივთიერებით და ერთი და იგივე შედეგი ჰქონდა. აქედგან ის აზრი დასკვნეს, რომ მამა-კაცს ერთი-ორად განვითარებული აქვს უნოსვის იარაღი დედაკაცზედ.

ისე-კი ყველასა ჰგონია, ვითომც ქალებს უფრო შეეძლოს სუნის გაგება, ვიდრე კაცს, რომ ქალი უფრო ნაზის უნოსვის პატრონი არისო. ამას იმიტომ ჰფიქრობდნენ, რომ ქალებს მალიან უყვართ სასუნებლები. და ეს-კი თურმე იმის ბრალი ყოფილა, რომ უნოსვის იარაღი სუსტი ჰქონია ქალს და იმიტომ ეტანება თურმე ისეთ სასუნელებს, რომელსაც ძლიერი სუნი აქვს და რომელიც კაცს ვერც-კი აუტანია.

---

რომ ხერთვისში არ იზდებოდეს. ხერთვისი ისეთივე მარგალიტია ჯავახეთის, როგორც ინდოეთისთვის ცეილონის კუნძული. ვაშლებში აქ საუკეთესოა: შახ-ალმა (შახის ვაშლი), სუდ-ალმა (რძე-ვაშლა), კარამფილი და სხვ., მსხალი საუკეთესოა გულაბი და ნანაზირი. ხართუთა, ალუბალი და მრავალ გვარი ქლიავი საუკეთესო ჯიშისა იცის. ხართუთა და ჰანჰური იმდენი მოაქვთ ახალქალაქის ბაზარში, რომ გირვანქას კაპეიკად ჰყიდულობს საწყალი ხალხი და მთელ თვეობით პურს ატანს და მხოლოდ ამით იკვებება. საზოგადოდ გირვანქა საუკეთესო ხილისა აქ შაურზედ ზევით იშვიათად იყიდება და ზამთარ-ზაფხულობით ყოველთვის იშოვით საუკეთესო ვაშლს.—საუკეთესო საჭმელი ყურძენი აქ ერევნიდგან მოაქვთ და გირვანქა შაურად იყიდება და სამშაურზედ ზევით იშვიათად ადის. ნესვი—საზამთრო ბორჩალოდგან გადმოაქვთ. ერთის სიტყვით, ამ მაზრაში დიდძალი ხილია, მხოლოდ უბედურება ის არის, რომ აქაურ გლეხისთვის ყველაფერი საყიდელია. მაგრამ ერთი რუსული ანდაზა ამბობს: „ქერმა უთხრა პურსაო წავიდეთ იქ სადაც ბევრი ოქრო არისო. პურმა უპასუხა: სტყუი, ჩემო მეგობარო, რაც ქვეყანაზე ოქროა, თავის ფეხით ჩვენთან მოვაო. აქაურ გლეხს იმოდენი ქერი და პური მოსდის, რომ ყველასა ჰყოფნის და ყოველივე თავის ფეხით კარზედ მიადგება ხოლმე. მთელს ზაფხულს მოდებულია სოფლებში ხილის გამყიდველი ჩავლადრები და ნესვ-საზამთროთი დატვირთული ურმები, რომელნიც პურზედ სცვლიან ათასნაირ ხილს.

სოფ. არაგვაში ზემოხსენებულ წისქვილთან წნორნარის ჩრდილოებში ცოტა ხანს დავისვენეთ დავსტკბით წყალის ჩხრიალით. წისქვილი გაცხარებულ მუშაობაში იყო. ჩვენის აზრით, არც ერთ მაზრაში არ არის იმდენი წისქვილები და ისე კარგი, როგორც ჯავახეთშია. მთელ ამ მაზრაში სამასზედ მეტი წისქვილია და ხაზინაში ორას-თუმნამდე გადასახადი შეაქვთ. ბევრჯერ მოგვიგონია ქართლ-კახეთის სოფლების გაჭირვება—რამოდენა დროს და შრომას თხოულობა ზოგი სოფლისათვის, რომ თუნდ ერთი ტომარა ხორბალი სადმე დაჰფქვას. სიტყვას „საფქვავი გვაქვსო“ და „საფქვავზე წავიდაო“ ამ მაზრაში სრულებით მეორე ადგილი უჭირავს და ადვილად წარმოსადგენია, რამდენ დროს და შრომას იგებს აქაური გლეხი. რაღა თქმა უნდა ეს ამბავი ამ მაზრაში წყალის სიუხვეს მიეწერება.

რომ აღარ შევაწუხო ბაასით მკითხველი, გავათავებ ჩემს მგზავრის შენიშვნებს და, თუმცა ასე გაკვრით აღწერით ძნელია მკითხველს დაუხატო სრული სურათი აქაურ ბუნებისა და ყოფა-ცხოვრებისა, მაგრამ მე მაინც ერთი საკითხველი მაქვს. რა ზნეობრივი დამოკიდებულება აქვთ აქაურ ნანგრევებზედ დარჩენილ ქართველობას დანარჩენ ქართველებთან? არაფერი. ჩვენს მოწინავე საზოგადოებას რა უზრუნია, რომ ამ ახლად ნაპოვნ მოძმეებზედ ზნეობრივი გავლენა რომ ჰქონოდა და დაეახლოებინა? არაფერი.

ეს ორი მაზრა-ჯავახეთი და სამცხე-საათაბაგო, სადაც ოდესმე ქართველთა მძლავრი ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა ორას წელიწადზე მეტი საქართველოს გულიდგან ან მოწყვეტილი იყო, ორას წელიწადზე მეტი ოსმალო განაგებდა აქ ქართველთა ბედს და უბედობას და მძვინარებდა მათში. ამ ხანში ისლამმა ისე შთანთქა სულიერი მხარე აქაურ ქართველებისა, რომ დანარჩენ ქართველებთან აღარც ერთი ძაფი ზნეობრივის დამოკიდებულობისა აღარ შეარჩინა.

დადგა ახალი ხანა. აგერ სამოცდა ხუთი წელიწადია, რაც ამ ორის მაზრის ქართველობა, რუსეთის ხმლის წყალობით, შეუერთდა ჯერ ქუთაისის და ახლა ტფილისის გუბერნიას, მერე რა გავარიგეთ ამ 65 წელიწადში? მივიზიდეთ აქაური ქართველობა რითიმე? სულაც არა. წარმოიდგინეთ, რომ ჯერ აქნობამდინაც ჯავახელ ქართველს უფრო ოსმალოსკენა აქვს მიქცეული პირი, ვიდრე ჩვენკენ. უფრო ოსმალებთან და განსაკუთრებით ისევ მათთან ეწყობიან მისვლა-მოსვლას, მეგობრობას, ვაჭრობას აღებ-მიცემობას და ყოველსავე ზნეობრივ დამოკიდებულობას. ძნელად იპოვით აქ ქართველს, რომ ჭოზის ხეობაში მაინც ჩასულიყოს (ბორჯომის ხეობაა) და ქართლელ ქართველებთან რაიმე ნათესაობა, მეგობრობა, ან აღებ-მიცემობა დაეწყოს. ამავე ქართველებს-კი თითქმის აზრუმამდე ჰყავთ ყონაღი ოსმალები და ერთმანეთში მეგობრობას და ვაჭრობას ეწყობიან.

ჩვენ აჭარა-ქობულეთს ვეპოტინებით და ამ ორის მაზრის ქართველობას-კი ყურადღებას არ ვაქცევთ და არა ვითარი შრომა და ზრუნვა არ მიგვიღია ამათთან დაახლოვებისა და სიმპატიის განახლებისა.

აგერ რამდენიმე წელიწადია აქაურმა ქართველმა ახალმა თაობამ გამოიფხიზლა და აღძრა ინტერესი თავის ვინაობის გაცნობისა და დიდი მოსურნეც არის ჩვენთან დაახლოვებისა და მგონია რომ ჩვენც ზნეობრივ მოვალენი ვართ ამათი წმინდა და კანონიერი სურვილი ჯეროვანად დავაკმაყოფილოთ.

ილ. ალხაზიშვილი

## გასართობი

—

საფრანგეთის ცნობილს არტისტს კრებილიონს ძლიერ უყვარდა ძაღლები. ერთხელა ჰკითხეს: რად გიყვარს ძაღლები?

— ჩემმა მზემაო, — უპასუხა კრებილიონმა, — მას შემდეგ, რაც ხალხი კარგად გავიცანი, ძაღლების მეგობრობა მირჩევნია.

—

კრომველი რომ დიდის ამბით მივიდა ლონდონს, ვიღამაც უთხრა: „უყურე, რამოდენა ხალხი შეგროვდა და ყველანი შენ გიყურებენო.

— მერე რაო, — უპასუხა კრომველმა, ჩამოსახრჩობად რომ მოვეყვანეთ, მაშინაც ამდენი ხალხი მოგროვდებოდაო.

—

ერთს საზოგადოებაში ბევრსა ლაპარაკობდნენ იმ ტანჯვა-ვაების გამო, რომელიც ცოდვილ ადამიანთ დაადგებათ ჯოჯოხეთში.

— მე მხოლოდ ის მაიმედებსო, — სთქვა ლაფონტენმა, რომ ცოდვილნი, როცა იქმნება, შეეჩვევიან ჯოჯოხეთს და ისე ესიამოვნებათ იქ ყოფნა, როგორც თევზს წყალში ყოფნა ესიამოვნება.

## გამოსადეგი ცნობა

—

ჯანმრთელობისათვის მარგებელი ბანაობა. ჯანმთელობისათვის და მეტადრე ნერვების გასამაგრებლად მეტად მარგებელია ბანაობა ამ ნაირად: ჩაასხით საბანებელში წყალი, ცივი ან თბილი, როგორსაც ჩვეული ხართ, და თვითო ვედრა წყალზედ რვა მისხალი ნიშადური მიუმატეთ.

—

ვაშლისა და სხვა ხილის შენახვა. ვაშლი დიდხანს რომ ინახება სარდაფში ანუ მარანში, ცუდი გემო ეძლევა და ჭამის დროს კაცს ეზიზღება. სხვა ხილიც შმორდება და სასიამოვნო სუნსა ჰკარგავს.

აი როგორ ეშველება ამ ნაირად გემო დაკარგულსა და აშმორებულ ხილს: გაახმეთ დიდგულას (Sambucus) ანუ რეზედას (Reseda) ყვავილი და ჩააწყეთ ყუთში ხილთან ერთად. ორის კვირის შემდეგ ხილი უსიამოვნო სუნსა და გემოს სრულიად დაჰკარგავს და საჭმელად საზიზღი აღარ იქმნება.

## სამეცნიერო ნაწილი

—

### მტვერის დასუფთავება ფოტოგრაფიის შემწეობით.

ფოტოგრაფია დიდს შემწეობას აძლევს მეცნიერებას და მეცნიერულ გამოკვლევაში მას თანდათან დიდს ალაგს უთმობენ. ამ ბოლოს დროს ფოტოგრაფიის უმთავრეს ღვაწლად მეცნიერულ გამოკვლევაში უნდა ჩაითვალოს, რომ მის შემწეობით გაადვილდა გამოკვლევა მტვერის თვისებისა და მოყვანილობისა. ამ ნაირი გამოკვლევა ითავა სახელოსნო და საჰიგიენო მუზეუმმა ვენაში. დიდი ხანია ჰფიქრობდნენ, რომ მტვერის მავნებლობა წარმოსდგება, როგორც შინაგან თვისებისაგან, ისე გარეგან მოყვანილობისაგანაც. ხოლო ამის დამტკიცება ეხლა მოხერხდა, როდესაც შეიძლება ფოტოგრაფიის მინას მიეკრას ჰაერში მოგროვილი და გამოწონილი მტვერი.

ყველა ნივთიერება, რომელსაც კაცი სუნთქვის დროს ჰაერს თან ჩაჰყოლებს, სასუნთქვის ლორწოიან გვერდებს ეკრობა, აწუხებს და ამის შედეგი ხველაა. ზოგი ნივთიერება, მაგალითად, ფქვილის მტვერი, ადვილად ამოსდევს ნახველს; ზოგი-კი, მაგალითად ხისა და ლითონის მტვერი, თავის გარეგანის მოყვანილობისა გამო, დიდხანს რჩება ლორწოზედ და იმ ადგილს დააავადებს ხოლმე. ზოგის აგებულება აიტანს ხველას დიდის ხნის განმავლობაში და მომეტებული ნაწილი-კი, მეტადრე მუშა ხალხი, რომელიც ცუდს სადგურებშია მოუთავსებელი და დაუწყნარებელი ცხოვრება აქვს, მალე ჰხდება ავად ჭლექით.

ფოტოგრაფიით მტვრის დასურათება ისე ადვილი არ იყო, როგორც ბევრს ეგონა, მაგრამ სძლიეს მაინც ყოველ-გვარ დაბრკოლებას და ეხლა შესაძლებელია მტვრის დასურათება.

მტვერი, რომელიც ადის ჰაერში როცა ნემსსა სთლიან, მაგარია, მოკაუჭებულის წვეტებით და ამის გამო მაგრა ჩაჯდება ხოლმე ფილტვისა და თირკმლის ლორწოიან კანში. რამდენად მავნებელია ფოლადის მტვერი, ეს ინგლისის სტატისტიკამ უკვე დაამტკიცა. ნემსის ქარხანაში მომუშავეთაგან 69%-ი ორმოც წლიწადზედ მეტს ვერა სცოცხლობს.

ძალიან მავნებელია აგრეთვე მინის მტვერი. თუ მინის ქარხნებში მუშაობა თხუთმეტის წლის ჭაბუკს დაუწყვია, 30 წელს იქით თითქმის ვერც-კი გადააცილებს.

ქვის მტვერიც მავნებელია ფილტვებისათვის, ხოლო სიმძიმისა გამო ჰაერს არ ასდევს.

ხარატის დასგას ბევრი მტვერი ასდის და ეს მტვერი იმითია მავნებელი, რომ ნაპირები წვეტიანი აქვს და სასუნთქს ასოებს ჩაერჭობა ხოლმე. ქარხნებში მომუშავენი ხშირად ხდებიან ჭლექით ავად. ამის მიზეზად ის მიაჩნდათ, რომ მომუშავე თითქმის მუდამ წელში მოხრილია, მაგრამ შემდეგ დამტკიცდა, რომ ეს ხის მტვრის ბრალია.

საქსოვ ქარხნებში დიდძალი მტვერი ტრიალებს ნაწეწ-ნაჩეჩისა და ეს მტვერი იმითია მავნებელი, რომ სუნთქვის დროს ფილტვებში მრავალგვარი ბაქტერიები ჩააქვს.

რომ მტვერი საზოგადოდ მავნებელია, ეს შემდეგ მაგალითით უფრო მტკიცდება: გერმანიის ნემსის ქარხნებში ღონისძიება მიიღეს, რომ მუშა-ხალხი მტვრიან ჰაერით აღარა სუნთქავდეს და ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ იქაური მომუშავე 50 წლამდე სცოცხლობს. ინგლისში-კი, სადაც ამ ნაირი ღონისძიება ჯერ არ მიუღიათ, ნემსის ქარხნებში მომუშავე 35—40 წელზე მეტს ვერა სძლებს.

## დეპეშა

28 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** დღეს დაასაფლავეს ჩაიკოვსკი. მეხის უბრალო კუბოს უკან მიჰქონდათ გვირგვინები ექვსის ეტლით; გვირგვინები იყო უმაღლეს გვამთაგანაც. ქუჩა ხალხით იყო სავსე; ეტლებით მისვლა-მოსვლა შესწყდა. ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო 96 დეპუტაციამ. დაესწრნენ: დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და პრინცი ალექსანდრე ოლდენბურგენი. ანდერძის აგების დროს ყაზანის ტაძარში გალობდა ორი გუნდი, ერთი მათგანი რუსულ ოპერასა. გზაზედ უკრავდა ფინლიანდიის პოლკის ორკესტრი. საფლავზედ ალექსანდრე-ნეველის ლავრაში სიტყვები წარმოსთქვეს, სხვათა შორის: მოსკოვის კონსერვატორიის დირექტორმა საფონოვმა, მომღერალმა ფიგნერმა, გარდაცვალებულის ამხანაგმა, ნაფიცმა ვექილმა მერარდმა. პოეტმა საფონოვმა ლექსი წაიკითხა. უკანასკნელის გამოთხოვების სიტყვა წარმოსთქვა ობერ-პროკურორის ამხანაგმა გერკემ.

პეტერბურგის ბირჟა, 26 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7_{,60}$ | $7_{,62}$ | -- ,, |
| ტფილისის კუპონები | 152 | 152¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 244 |
| —მეორისა . . . | 218 | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 100 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98 |

## განცხადებანი

სურთ ყიდვა მამულისა

უფრო

კახეთში

ადრესი წერილის მოსაწერად და პირის-პირ მოსალაპარაკებლად: Тифлисъ, Михайловская ул. домъ № 87, противъ больницы, квартира Миримановыхъ, В. К—ни. (3—1)

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—119)




ამხანაგობა „ჰიგიენა“

ლიზოლინი

ცუდის სუნის მომსპობი წამალი

ნება-დართულია პეტერბურგის ექიმთა გამგეობისაგან. ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიებში. ბლომად დაკვეთა შეიძლება

პეტერბურგის

სატეხნიკო ქიმიურ ლაბორატორიისაგან

С.-П.-Б. площ. Александринск. театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37.

გამოსადეგი ცნობანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ф პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ОБЪЯВЛЕНІЕ.

СЪ НОЯБРЯ сего года ИМПЕРАТОРСКОЕ КАВКАЗСКОЕ ОБЩЕСТВО Сельскаго Хозяйства будетъ издавать взамѣнъ «Трудовъ“, еженедельную газету

„КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО“

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГАММѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и Экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оргинальныя и переводныя) по полеводству, скотоводству и молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч, 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоры литературы русской и иностранной по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6 Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о цроизводствѣ и потребленіи селск-хозя. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы, доклады и отчеты общества и его органовъ. 9. Критика и библіографія 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельско-хозяйственный календарь. 12 Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между Обществомъ и хозяевами Кавказа; съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и, во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Газета издается подъ наблюденіемъ совѣта Общества особою редакціонною комиссіей. Популярныя статьи будутъ помѣщаться въ видѣ особыхъ приложеній къ журналу не только на русскомъ, но, по возможности, и на туземныхъ языкахъ.

Въ отдѣлѣ „вопросы и отвѣты“ газета, нри содѣйствіи спеціалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или въ Общество.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ доставкою и пересылкой:

въ годъ . . . . . . . . . . 4 р.
½ года . . . . . . . . . . 2 р.
¼ года . . . . . . . . . . 1 р.
1 мѣсяцъ . . . . . . . . . „ 40 к.

Отдѣльные №№ по 10 к.
За перемѣну адреса 30 к.

За напечатаніе объявленій на послѣднихъ страницахъ платится отъ строки петита въ столбцѣ (въ страницѣ два столбца) по 10 коп за первый разъ и 8 олъ за послѣдующіе разы. За цѣлую страницу въ двѣ колонны—10 руб., п журстраницы—6 руб. На первой страницѣ—цѣна вдвое. За пересылку прп журналѣ отдѣльныхъ объявленій, каталоговъ, прейсъкурантовъ и пр. взимается по соглашенію.

ПОДПИСКА и ОБЪЯВЛЕНІЯ принимаются въ Тифлисѣ, въ бюро Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства (Барятинская ул., собствен. домъ)

Редакція помѣщается тамъ же и открыта для личныхъ объясненій ежедневно, кромѣ праздничныхъ и воскресныхъ дней, отъ 10 до 12 часовъ дня.

Доз. ценз. Тифлисъ, 29-го Октября 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე